The European Union for Georgia
ENPARD

care

ლაგოდეხის განვითარების ჯგუფი

ქეა ავსტრია

ლაგოდეხის განვითარების ჯგუფი (LAG)

პროექტი "სოფლის განვითარების მოდელების სრულყოფა საქართველოში"

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

საგრანტო სახელმძღვანელო

ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური ინიციატივების მხარდასაჭერად

2018 წ.

1. პროექტის ზოგადი მიმოხილვა

პროექტი "სოფლის განვითარების მოდელების სრულყოფა საქართველოში" ხორციელდება ევროპის სამეზობლო პროგრამის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის (ENPARD) მხარდაჭერით და მიზნად ისახავს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სიღარიბის შემცირებას, დასაქმების მაჩვენებლების გაზრდასა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ინტეგრირებული, მდგრადი და თანამონაწილეობითი სოფლის განვითარების პროცესის მხარდაჭერით.

პროექტის განხორციელების ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტს წარმოადგენს LEADER-ი რომელიც სოფლის განვითარებისადმი ინტეგრირებულ მიდგომას გულისხმობს.

პროექტის მიზანია ადგილობრივ დონეზე არა მხოლოდ ეკონომიკური სექტორის განვითარება, არამედ მიზნად ისახავს ისეთი მიმართულებების მხარდაჭერასაც, რომელიც ხელს შეუწყობს გარემოს დაცვას, სოციალური სექტორის განვითარებას და მოწყვლადი ჯგუფების დაცვას.

LEADER მიდგომის , როგორც პროექტის განხორციელების უმთავრესი ინსტრუმენტის გამოყენებით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდა „ლაგოდეხის განვითარების ჯგუფი" (LAG), როგორც საკონსულტაციო პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი აქტორების მობილიზებას მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის.

აღნიშნული პლატფორმის ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა ადგილორივი მოსახლეობის სათემო მობილიზაციის პროცესი, რომლის შედეგადაც შემუშავებულ იქნა ლაგოდეხის განვითარების სტრატეგია, განისაზღვრა ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები, რომელიც საფუძვლად დაედო საგრანტო კომპონენტის განხორციელებას.

პროექტს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ახორციელებს ქეა ავსტრია.

2. საგრანტო პროგრამის მიზანი

<u>**საგრანტო პროგრამის მიზანია**</u> ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სოფლად სიღარიბის შემცირების, სამუშაო ადგილების შექმნისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების სტიმულირება.

<u>**საგრანტო პროგრამის სპეციფიკური ამოცანა:**</u>

ქეა ავსტრია და ლაგოდეხის განვითარების ჯგუფი აცხადებს საგრანტო კონკურსს, რომლის ამოცანაა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ისეთი ტიპის სასოფლო-სამეურნეო და არა-სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობისა და ლაგოდეხის განვითარების ჯგუფის (LAG) მიერ გამოვლენილ ადგილობრივ **პრიორიტეტებს პასუხობენ.**

3. გრანტები გაიცემა ისეთი პროექტების მხარდასაჭერად, რომლებიც ხელს შეუწყობენ :

1. სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.
2. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ღირებულებათა ჯაჭვის გაუმჯობესებას.
3. სოფლის მეურნეობისა და სხვა წამყვან სფეროებში კვლევებისა და საკონსულტაციო სერვისების მიწოდებას ადგილობრივი მოსახლეობისათვის.
4. გარემოზე ზეგავლენის შემცირებას.
5. სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის გაზრდას.
6. ტურისტული მიმზიდველობის გაზრდას.
7. სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.
8. ახალგაზრდული ინიციატივების განხორციელებას
9. გარემოსდაცვით საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას.

4. საქმიანობების შესაბამისობა და დაფინანსების ოდენობა

4.1.**საგრანტო პროგრამა მხარს უჭერს საქმიანობებს შემდეგ სფეროებში.**

(გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ აღნიშნული სია არ არის სრული)

კომერციული - არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო მიმართულებები

- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კომერციალიზაციისა და ფერმერთათვის ბაზრებზე წვდომის გაზრდის მიზნით, მცირე ზომის მდგრადი სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურული ინიციატივები.
- თანამედროვე სასათბურე მეურნეობის განვითარება.

- შესანახი და სამაცივრე მეურნეობის განვითარება.
- სადისტრიბუციო ქსელის განვითარება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაუმჯობესების მიზნით.
- ეკონომიკურად რენტაბელური სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის შემოღება და მხარდაჭერა.
- ბიო წარმოების მხარდაჭერა.
- საფერმერო საქმიანობის მხარდაჭერის სერვისების შემოღება (რომელიც შეავსებს სახელმწიფო ბალანსზე მყოფი, ფერმერთა სერვის ცენტრების მიერ გაწეულ მომსახურებას) და აგრობიზნესების დაარსება (ტექნიკა, საწარმოო რესურსები, პროდუქციის კონსოლიდირება, შეფუთვა, დამუშავება, მართვა, ტრანსპორტირება და მარკეტინგი) .
- ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

სოციალური და არაკომერციული მიმართულებები

- სოციალური აქტივობები, რომლებიც მიმართულია ახალგაზრდების, ქალებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა და ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერისაკენ.
- გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული საქმიანობის მხარდაჭერა.
- გარემოს დაცვის მიმართულებით განსახორციელებელი საქმიანობის მხარდაჭერა.
- კულტურული და სოციალური ღონისძიებების მხარდაჭერა.
- საგანმანათლებლო აქტივობები, რომლებიც მიმართულია ადგილობრივი მეწარმეების/ფერმერების ცნობიერების ამაღლებისაკენ სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სხვა სფეროებში არსებულ კანონმდებლობაზე, რეგულაციებსა და პროგრამებზე.

4.2. საგრანტო პროგრამის ფარგლებში შემდეგი სახის საქმიანობები არ დაფინანსება:

- საგრანტო რესურსებით უძრავი ქონების (მიწა, შენობები) შეძენა ;
- შინაური საქონლის (პირუტყვის) შესყიდვა.

- ცალკეული პირების დაფინანსება სემინარებზე, კონფერენციებსა და კონგრესებში მონაწილეობის მიღების მიზნით;
- ისეთი ქმედებები, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ცალკეული პირების ან ჯგუფების დისკრიმინაცია სქესის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიური მრწამსის ან მისი არქონის, ან ეთნიკური წარმოშობისა და პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერის მიხედვით.

4.3. <u>ლაგოდეხის განვითარების ჯგუფის მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით, მიმდინარე საგრანტო კონკურსში არ დაფინანსდებიან კომერციული (სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო სამეურნეო) კატეგორიის ის გამარჯვებული განმცხადებლები, რომელთაც მიღებული აქვთ დაფინანსება პროექტების „სოფლის თანამონაწილეობითი განვითარება საქართველოში“ და „სოფლის განვითარების მოდელების სრულყოფა საქართველოში“ ფარგლებში.</u>

4.4 ხარჯების შესაბამისობა: ხარჯები, რომელთა გათვალისწინება შეიძლება გრანტის მისაღებად

გრანტის ფარგლებში დაფინანსდება მხოლოდ „დასაშვები ხარჯები“.

„დასაშვები“ და „დაუშვებელი“ ხარჯების კატეგორიებია:

4.5 დასაშვები ხარჯები[1]

ხარჯები აღნიშნული განაცხადის მიზანს უნდა პასუხობდეს და შესაბამისი საქმიანობების განსახორციელებლად იქნას გამოყენებული:

- სამშენებლო მასალები და ტექნიკა ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის;
- სასოფლო-სამეურნეო რესურსები (სათესლე მასალა, სასუქი, პესტიციდები)
- საფერმერო და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა/აღჭურვილობა;
- სასწავლო მასალების მომზადება და ბეჭდვა;
- მედია სერვისი; (ადვოკატირების მასალების ბეჭვდა, ადვოკატირების კამპანიის ჩასატარებელი მასალების მომზადება და სხვა);

[1] გრანტის ფარგლებში დაფარული ხარჯები

- ტრეინინგისა და კვლევის მონაწილეთა მხარდაჭერა (გარდა ხელფასების, ტრანსპორტირებისა და საწვავის ხარჯებისა)

ზემოხსენებული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. გრანტით გათვალისწინებული შესყიდვა საჭიროებით და გონივრულობით უნდა იყოს განპირობებული.

4.6 დაუშვებელი ხარჯები[2]

შემდეგი სახის ხარჯები არ იფარება:

- მიმდინარე ხარჯები, როგორიცაა თანამშრომელთა ხელფასები, ოფისის ქირა, კომუნალური და საწვავის ხარჯები.
- სესხები და სესხის მომსახურების ხარჯები;
- დანაკარგების ან სავარაუდო სამომავლო ვალდებულებების რეზერვები;
- საპროცენტო გადახდები;
- ბენეფიციარის მიერ დეკლარირებული და სხვა პროექტით ან სამუშაო პროგრამით დაფარული ხარჯები;
- სასესხო საშუალებები/კრედიტი მესამე მხარეებზე.

შენიშვნა: კონტრაქტის ხელმოწერამდე შემოწმდება დოკუმენტაცია. წინასწარი შემოწმებისას უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში (მაგალითად, არარეალური ხარჯები ან სხვა დაუშვებელი ხარჯები), კანდიდატს ბიუჯეტის მოდიფიცირება მოეთხოვება. თუ პროცესის დროს დამატებითი კითხვები და განმარტებების საჭიროება გაჩნდა, შემფასებელმა კომისიამ შესაძლოა მოდიფიცირება ან შემცირება მოითხოვოს ამგვარი შეცდომების ან უზუსტობების აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული კორექტირების შედეგად არ გაიზრდება გრანტის ოდენობა, ასევე CARE-ის თანადაფინანსების ოდენობა. აქედან გამომდინარე, კანდიდატის ინტერესებში შედის **რეალისტური** და **რენტაბელური ბიუჯეტის უზრუნველყოფა.**

5. ვის შეუძლია განაცხადის შემოტანა?

განმცხადებელი უნდა:

- იყოს სრულწლოვანი ფიზიკური პირი, ან საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი.

[2] ხარჯები, რომლებიც არ იფარება გრანტის ფარგლებში

- ჰქონდეს სასოფლო-სამეურნეო ან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში სამუშაო გამოცდილება და უნარი;
- იყოს პირდაპირ პასუხისმგებელი პარტნიორებთან შესასრულებელი ღონისძიებების მომზადებასა და მართვაში, და არ ასრულებდეს უბრალოდ შუამავლის როლს.
- ახორციელებდეს საქმიანობას ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

CARE ავსტრიასა და საგრანტო კონკურსში შერჩეულ აპლიკანტს შორის დაიდება ხელშეკრულება. აპლიკანტი პასუხისმგებელია ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გადახდაზე საქართველოს კანონმდებლობის გათვლისწინებული წესით.

პრიორიტეტი მიენიჭება აპლიკანტებს:

1. რომელთა ბენეფიციარებს წარმოადგენენ შემდეგი მოწყვლადი ჯგუფები:
   -ქალები
   -ახალგაზრდები
   -ეთნიკური უმცირესობები
   -განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანები
2. რომლებიც ხელს შეუწყობენ ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის წახალისებას.
3. რომლებიც უზრუნველყოფენ უფრო მეტ ფინანსურ მონაწილეობას.

<u>საგრანტო პროგრამა მხარს არ დაუჭერს: პოლიტიკურ პარტიებს, რელიგიურ და პოლიტკურ ორგანიზაციებს და ფინანსურ ინსტიტუტებს.</u>

6. პროექტის ხანგრძლივობა

დაფინანსებული პროექტის განხორციელება უნდა დაიწყოს კონტრაქტის ხელმოწერიდან ერთი თვის განმავლობაში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი შესყიდვების განხორციელებისთანავე. პროექტის განხორციელების ვადები არ უნდა აღემატებოდეს <u>2019 წლის 30 ივნისს.</u>

7. გრანტების ოდენობა და თანამონაწილეობა

საგრანტო კონკურსის ფარგლებში მოთხოვნილი ნებისმიერი გრანტის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მინიმალური და მაქსიმალური თანხის მოთხოვნებს:

კომერციული (არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო)

- მინიმალური ოდენობა - 5 000 ევროს ექვივალენტი ლარში
- მაქსიმალური ოდენობა - 30 000 ევროს ექვივალენტი ლარში

სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება/რეაბილიტაცია

- მინიმალური ოდენობა - 3 000 ევროს ექვივალენტი ლარში
- მაქსიმალური ოდენობა - 20 000 ევროს ექვივალენტი ლარში

სოციალური და არაკომერციული მიმართულებები: ადვოკატირება, სოციალური აქტივობა, ცნობიერების ამაღლება, ტრენინგები

- მინიმალური ოდენობა : 1 000 ევროს ექვივალენტი ლარში
- მაქსიმალური ოდენობა : 10 000 ევროს ექვივალენტი ლარში

კომერციულ (არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო) საქმიანობასთან დაკავშირებული გრანტის მოთხოვნაზე გათვალისწინებულია CARE-ის მთლიანი დაფინანსების მაქსიმუმ 75 %, აქედან გამომდინარე კანდიდატს მოეთხოვება პროექტის მთლიანი თანხის სულ მცირე 25%-ის თანადაფინანსება. <u>თანადაფინანსება უნდა ითვალისწინებდეს ფულად რესურსს.</u>

ისეთი ტიპის საქმიანობასთან (როგორიცაა სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება/რეაბილიტაცია და ა.შ.;) დაკავშირებული გრანტის მოთხოვნაზე გათვალისწინებულია CARE-ის მთლიანი დაფინანსების მაქსიმუმ 60%. აქედან გამომდინარე, კანდიდატს მოეთხოვება პროექტის მთლიანი თანხის სულ მცირე 40%-ს თანადაფინანსება. <u>თანადაფინანსება შესაძლებელია, როგორც ფულადი, ასევე, არაფულადი სახით.</u>

სოციალური და არაკომერციული ტიპის საქმიანობასთან (როგორიცაა: ადვოკატირება, ცნობიერების ამაღლება, ტრენინგები) დაკავშირებული გრანტის მოთხოვნაზე გათვალისწინებულია CARE-ის მთლიანი დაფინანსების მაქსიმუმ 90%. აქედან გამომდინარე, კანდიდატს მოეთხოვება პროექტის მთლიანი თანხის სულ მცირე 10%-ის თანადაფინანსება. <u>თანადაფინანსება შესაძლებელია, როგორც ფულადი, ასევე, არაფულადი სახით.</u>

აპლიკანტის თანადაფინანსებად შესაძლებელია ჩაითვალოს ნებისმიერი წყაროდან მიღებული ფინანსური რესურსი, გარდა დონორთა დაფინასებისა.

პროექტის წარმატებით დასრულების შემდგომ, CARE აპლიკანტს გადასცემს პროექტის ფარგლებში შეძენილი აქტივს იმ პირობით, თუ კანდიდატი განაცხადში დათქმულ ყველა პირობას შეასრულებს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ წარმოადგინონ ერთზე მეტი განაცხადი წინამდებარე მოთხოვნის ფარგლებში, თუმცა, თითოეულ განმცხადებელს დაუფინანსდება მხოლოდ ერთი ინიციატივა.

8. განაცხადის წარდგენის წესი და შემდგომი პროცედურები

იმისათვის, რომ წარდგენილი საპროექტო განაცხადი შეირჩეს დაფინანსებისთვის, თითოეულმა განმცხადებელმა უნდა გაიაროს **ორი ეტაპი:**

I ეტაპი - საპროექტო იდეის წარდგენა

II ეტაპი - სრული განაცხადის მომზადება

ყოველ ეტაპზე იქნება შერჩევის პროცესი, რომელსაც განახორციელებენ ლაგოდეხის განვითარების ჯგუფის მმართველი საბჭოს წევრები, ქეა ავსტრიის თანამშრომლებთან და მოწვეულ ექსპერტებთან ერთად, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის სპეციფიკიდან გამომდინარე.

შერჩევის I ეტაპი:

საპროექტო იდეის წარდგენა

განმცხადებელი **საგრანტო იდეის ფორმის (იხ.დანართი 1)** საშუალებით იძლევა მოთხოვნილ ინფორმაციას, რომლის შეფასების საფუძველზეც გაირკვევა განმცხადებელი შერჩეული იქნება თუ არა პროექტის სრული განაცხადის ფორმის წარდგენისთვის.

განაცხადის შესავსებად განმცხადებელს შეუძლია ეწვიოს შემდეგ ვებ გვერდებს:

1. www.lagodekhilag.ge - ლაგოდეხის განვითარების ჯგუფის ოფიციალური ვებ გვერდი.
2. www.care-caucasus.org.ge - ქეა საერთაშორისო კავკასიაში ოფიციალური ვებ გვერდი
3. www.enpard.ge - ენპარდის ოფიციალური ვებ გვერდი.
4. www.facebook.com/lagodekhi.LAG/ - ლაგოდეხის განვითარების ჯგუფის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი.

საგრანტო იდეის ჩამოტვირთვის შემთხვევაში, განმცხადებელმა უნდა შეავსოს საგრანტო აღნიშნული ფორმა და წარმოადგინოს:

ელექტრონული ვერსია მისამართზე: nino.uglava@care.org

ან წარმოადგინოს ნაბეჭდი ვერსია მისამართზე: **2700, ქ.ლაგოდეხი, ზაქათალის ქ.23, ქეა ავსტრია**.

საგრანტო იდეის მიღების ბოლო ვადაა <u>2018 წლის 15 ოქტომბერი, 18:00 სთ</u>

განაცხადების წარდგენის შემდეგ განმცხადებელი მიიღებს დადასტურებას განაცხადის მიღების შესახებ.

კანდიდატებმა განაცხადები უნდა წარადგინონ ქართულ ენაზე. მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ენობრივი ბარიერის წარმოქმნის შემთხვევაში შეუძლიათ მიიღონ კონსულტაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე.

<u>არ მიიღება განაცხადი, რომელიც წარმოდგენილი იქნება დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.</u>

<u>დაუშვებელია საგრანტო განაცხადის ფორმაში თვითნებური ცვლილებების განხორციელება. ასეთი განაცხადი არ განიხილება.</u>

<u>ხელნაწერი ვერსიები არ მიიღება.</u>

9. საგრანტო იდეის შეფასება

საგრანტო იდეის განაცხადი განიხილება და შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

შერჩევის კრიტერიუმები	**შეფასება**
არსებული სიტუაციის ანალიზი, შემოთავაზებული პროექტის ძირითადი მიზანი	**15 ქულა**
პროექტის შესრულების ადგილი	**5 ქულა**
პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობა და ძირითადი საქმიანობის ჩამონათვალი	**10 ქულა**
დასაქმებულთა რაოდენობა	**7 ქულა**
ბენეფიციართა ჯგუფების აღწერა და ბენეფიციართა/კლიენტების საერთო რაოდენობა, რომლებიც პროექტის განხორციელებით სარგებელს მიიღებენ	**8 ქულა**
განმცხადებლის უნარ-ჩვევები და შესაბამისი გამოცდილება	**10 ქულა**
თანადაფინანსების აღწერა	**10 ქულა**
ინოვაცია და გარემოზე ზემოქმედება	**10 ქულა**
კავშირი ადგილობრივი განვითარების სტრატეგიასთან	**10 ქულა**
პროექტის მდგრადობა	**15 ქულა**

<u>განაცხადი, რომელიც დააგროვებს 70 ქულაზე ნაკლებს, ვერ გადავა მეორე ეტაპზე</u>, რის შესახებაც განმცხადებელს გაეგზავნება შეტყობინება.

წარმატებულ განმცხადებლებს დამატებით ეცნობებათ შემდგომი პროცედურების შესახებ.
შერჩევის პირველი ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ 20 დღის განმავლობაში CARE მოიწვევს კონსულტანტებს / სფეროს სპეციალისტებს, რომლებიც სპეციალურად შემუშავებული ტექნიკური ტრენინგების მეშვეობით დაეხმარებიან პირველ ეტაპზე შერჩეულ კანდიდატებს სრული განაცხადის შემუშავებაში.
სრული განაცხადების შემუშავებაზე შერჩევა არ ნიშნავს იმას, რომ განაცხადი ავტომატურად იქნება დაფინანსებული.

განაცხადის არ დამტკიცების შემთხვევაში:

- განმცხადებელი მისივე მომართვის შემთხვევაში მიიღებს წერილობით ახსნა-განმარტებას უარის თქმის მიზეზის შესახებ.
- გადაწყვეტილება შესაძლებელია განხილულ იქნეს ლაგოდეხის განვითარების ჯგუფის მმართველი საბჭოს წინაშე დამატებითი არგუმენტირების მიზნით.

II ეტაპი

სრული საპროექტო განაცხადის წარდგენა

საპროექტო იდეის განაცხადის დამტკიცების შემთხვევაში:

- განმცხადებელი გადადის მეორე ეტაპზე და შეეძლება სრული განაცხადის წარდგენა.
- განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს, სრული განაცხადი, ბიზნეს გეგმა, დეტალური ბიუჯეტი და ქვემოთ ჩამოთვლილი სხვა დამხმარე დოკუმენტები:
    - რეგისტრაციის მოწმობა;
    - საჭიროების შემთხვევაში, კანდიდატის წესდება;
    - ცნობა ქონებაზე ყადაღის არქონის შესახებ;

- საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ლიცენზია/ნებართვა მთავრობისგან/ადგილობრივი თვითმმართველობისგან, ან შესაბამისი სამსახურებისგან;
- საჭიროების შემთხვევაში, მოძრავი ქონების საკუთრებისა და რეგისტრაციის მოწმობა;
- ინფრასტრუქტურული პროექტების შემთხვევაში, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს თანხმობის ფურცელი, რომელსაც ხელს აწერს სამიზნე ტერიტორიაზე (ტერიტორიებზე) მცხოვრები საკომლო სიის 60%. კომლიდან 1 ადამიანის ხელმოწერა.
- წარმოდგენილი პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, რომლის წარმოდგენის საჭიროებაც გაჩნდება განაცხადის განხილვის პროცესში.

კანდიდატებმა განაცხადები უნდა წარადგინონ ქართულ ენაზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის, ენობრივი ბარიერის წარმოქმნის შემთხვევაში შეუძლიათ მიიღონ კონსულტაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ არასრულად წარმოდგენილი შემოთავაზებები შესაძლოა უარყოფილ იქნას. ვადის ამოწურვის შემდგომ წარმოდენილი წინადადებები არ განიხილება. წარმოსადგენი დოკუმენტაციის სია / ჩამონათვალი ივსება განაცხადის წარმოდგენის დღეს, რაც გამორიცხავს არასრული განაცხადების მიღებას.

10. დოკუმენტაციის წარდგენის პროცედურები

განაცხადები მიიღება როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონულ ფოსტაზე გამოგზავნილი ფორმით შემდეგ ელექტრონულ და საფოსტო მისამართებზე:

Nino.uglava@care.org

2700, ქ.ლაგოდეხი,ზაქათალის 23,ქეა ავსტრია

ფაქსით ან სხვა ელექტრონული საშუალებით, ასევე სხვა საფოსტო მისამართზე გაგზავნილი საპროექტო განაცხადები არ მიიღება.

საპროექტო დოკუმენტების ელექტრონული ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში განმცხადებელს დაუდასტურდება წერილის მიღება.

პირადად მიწოდებისას საკონკურსო განაცხადის ნაბეჭდი ასლის მომწოდებლები მიიღებენ სარეგისტრაციო ნომერს.

განაცხადი უნდა შეიცავდეს საპროექტო განაცხადის დასრულებულ ფორმას, რომელსაც თან დართული ექნება სხვა საჭირო დოკუმენტაცია. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ერთზე მეტ განაცხადს აგზავნის, მაშინ თითოეული განაცხადის წარდგენა ცალ-ცალკე უნდა მოხდეს. განაცხადის ნაბეჭდი ასლი უნდა იქნას მოწოდებული დალუქულ კონვერტში პირადად, ან გამოგზავნილი კერძო საკურიერო სერვისის მეშვეობით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი კონვერტი დასათაურებული უნდა იყოს შემდეგნაირად:

საკონკურსო განაცხადი - "სოფლის განვითარების მოდელების სრულყოფა საქართველოში".

ასევე კონვერტზე მითითებული უნდა იყოს კონკურსანტის სახელი, გვარი (იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება) და მისამართი.

11. განაცხადების მიღების ბოლო ვადა

<u>სრული განაცხადის მიღების ბოლო ვადა განისაზღვრება პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ.</u>

პირველ ეტაპზე შერჩეული ნებისმიერი განაცხადი, რომელიც დოკუმენტების წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ მიიღება, ავტომატურად იქნება უარყოფილი.

<u>**მეორე ეტაპზე წარდგენილი საგრანტო განაცხადების შეფასების ქულათა სისტემა წარმოდგენილია საგრანტო განაცხადის ფორმებში.**</u>

- ✓ განაცხადი, რომელიც მიიღებს 71 და მეტ ქულას გამოცხადდება გამარჯვებულად.
- ✓ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ქეა ავსტრიის წარმომადგენლობა, ასევე ლაგოდეხის განვითარების ჯგუფის მმართველი საბჭო, იტოვებს უფლებას საჭირობის შემთხვევაში განმცხადებელთან დაინიშნოს დამატებითი ინტერვიუ. თუ კი განმცხადებელი ვერ შეძლებს განაცხადში წარმოდგენილი ინფორმაციის დასაბუთებას და ინტერვიუს წარმატებით გავლას, მოხდება განაცხადის დისკვალიფიკაცია.

- ✓ განაცხადს, რომელიც მოაგროვებს 60-დან 70 ქულის ჩათვლით და თუ მასში აღმოჩენილი ხარვეზები ექვემდებარება მოკლე დროში აღმოფხვრას, დარგის ექსპერტებისა და საგრანტო კომისიის ერთობლივი გადაწყვეტილებით, განმცხადებელს მიეცემა რეკომენდაცია დამატებითი ინფორმაციის მოსაწოდებლად და ხარვეზების გამოსასწორებლად 1 კვირის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში (მიუხედავად აღნიშნულ კატეგორიაში მოხვედრისა) პროექტი ვერ მიიღებს დაფინანსებას.
- ✓ განაცხადი, რომელიც დააგროვებს 60 ქულაზე ნაკლებს ვერ მიიღებს დაფინანსებას.

12. როგორ მოხდება შემოტანილი განაცხადების შეფასება

საგრანტო ინიციატივების შეფასების ქულათა სისტემის პრინციპები[3]
სოციალური და სოციალური ინფრასტრუქტურის საგრანტო განაცხადის ფორმის მიხედვით.

განაცხადის სექციები		შეფასება	კომენტარი
№	დასახელება		
1	**შემოთავაზებული პროექტის ძირითადი მიზანი**	0-15	15 - წარმოდგენილ ფორმაში ნათლად არის ასახული პროექტის აღწერა, მისი მიზნები და ამოცანები.
2	**არსებული სიტუაციის ანალიზი**	0-10	10 - მკაფიოდ არის გაანალიზებული იმ სექტორში/სფეროში არსებული მდგომარეობა, რომელშიც იგეგმება პროექტის განხორციელება. დასაბუთებულია პროექტის განხორციელების საჭიროება.
3	**პროექტის შესრულების ადგილი**	0-2	2 - ნათლად არის წარმოდგენილი ინფორმაცია, თუ კონკრეტულად სად უნდა განხორციელდეს პროექტი: ქალაქი,თემი, სოფელი, სოფელში კონკრეტული ადგილი.
4	**პროექტის ხანგრძლივობა და ძირითადი საქმიანობის ჩამონათვალი**	0-8	8 - ნათლად არის წარმოდგენილი პროექტის განხორციელების ვადები და გამოიყენებულია განაცხადში მოცემული სამოქმედო გეგმის ფორმატი
5	**დასაქმებულთა რაოდენობა**	0-5	5 - წარმოდგენილია ინფორმაცია პროექტის განხორციელების პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ (მათ შორის ქალი, კაცი, ახალგაზრდა)
6	**პროექტით მოსარგებლეთა (ბენეფიციართა) ჯგუფების აღწერა და მათი საერთო**	0-8	8 - აღწერილია ბენეფიციარები, კონკრეტულად რა კატეგორიის ბენეფიციარები ისარგებლებენ პროექტის

[3] მსგავსი შეფასების პრინციპი გამოიყენება კომერციული სასოფლო-სამეურნეო, კომერციული არასასოფლო-სამეურნეო და კოოპერატივებისათვის განკუთვნილი საგრანტო განაცხადების შეფასებისას, ფორმებში მითითებული ქულების შესაბამისად.

	რაოდენობა, რომლებიც პროექტის განხორციელებით სარგებელს მიიღებენ		განხორციელების შედეგად მითითებულია მათი რაოდენობა, მათ შორის უზრუნველყოფილია მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობა.
7	**განმცხადებლის უნარ-ჩვევები და შესაბამისი გამოცდილება**	0-6	6 - პროექტის ავტორს აქვს მსგავსი საქმიანობის მინიმუმ 5 წლიანი თანმიმდევრული გამოცდილება, რაც მკაფიოდ არის წარმოდგენილი განაცხადის ფორმაში. თუ კი განმცხადებლის მიერ პირველად ხდება პროექტის განხორციელება წარმოჩენილი უნდა იქნას მისი უნარჩვევები და შესაძლებლობები.
8	**თანადაფინანსების აღწერა**	0-6	0 - არ არის მითითებული იდეის ავტორის თანამონაწილეობა. 6 - მკაფიოდ არის დასაბუთებული და გაანალიზებული პროექტის ავტორის თანამონაწილეობა საგრანტო სახელმძღვანელოში გაწერილი პიროებების მიხედვით. დეტალურად არის აღწერილიი თუ რა სახით ხდება თანამონაწილეობა.
9	**გარემოზე ზემოქმედება**	0-9	*9 - საფუძვლიანად არის დასაბუთებული, რომ წარდგენილი პროექტი და პროექტის ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი საქმიანობა და ინიციატივა არ უქმნის რაიმე საფრთხეს გარემოს და სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას გარემოს დაცვის შესახებ)*
10	**ბიუჯეტი**	0-15	15-მაქსიმალური სიზუსტით და რეალისტურად არის დათვლილი ხარჯები.
11	**შესაძლო რისკები და მათი დაძლევის გზები**	0-6	6 - მითითებული და განსაზღვრულია ყველა ის რისკი, რომელიც პროექტის განხორციელებას ხელს შეუშლის. 1- წარმოდგენილია რისკებისდაძლევის გზები
12	**პროექტის მდგრადობის აღწერა**	0-10	10 - მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, თუ რა მეთოდებითა და რესურსებით იგეგმება იდეის შედეგების შენარჩუნება, კონკრეტულად რა გაკეთდება ამისათვის .

13. საპროექტო განაცხადებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია

დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ იხილონ საგრანტო კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები, მათ შორის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები, მითითებულ ვებ გვერდებზე: www.lagodekhilag.ge ; www.care-caucasus.org.ge ; www.enpard.ge

საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით, დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მოგვწეროთ ქვემოთ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე. (წერილში გარკვევით მიუთითეთ "საგრანტო კონკურსი")

ელ.ფოსტა: nino.uglava@care.org

ან დაუკავშირდეთ სოფლის თანამონაწილეობითი განვითარების პროექტის საველე კოორდინატორს **მალხაზ ტალახაძეს საკონტაქტო ნომერზე - 599 503498**

დანართები:

დანართი I - საგრანტო განაცხადის იდეის ფორმა

დანართი II - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია

დანართი III- ხშირად დასმული კითხვები